პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 39 (13160) | ოთხშაბათი, 17 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ფართოდ გავაჩაღოთ ზინასაარჩევნო კამპანია

ეფექტურად, ხარისხიანად!

ამაგალითად დიდი გაქანებით ხორციელდება მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მარტო გასული ექვსი წლის მანძილზე მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობებს მოხმარდა 200 მილიარდ მანეთზე მეტი — დაახლოებით იმდენი, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების მთელ წინა პერიოდში.

ამ საერთო წარმატებებში მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საქართველოს მშენებელთა მრავალათასიანმა არმიამ თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკა ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია.

საქართველოს რუკაზე — იქ, სადაც წინათ „თეთრი წერტილები" იყო, მოკლე დროში გაჩნდა ახალი რაიონები, მუშათა დაბები, აშენდა სამრეწველო საწარმოები, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, შახტები, საცხოვრებელი სახლები. შვიდწლედის განვლილ ექვს წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხამ შეადგინა 2.628 მილიონი მანეთი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში (ერთად) კაპიტალურ დაბანდებებს.

საამაყოა აღვნიშნოთ, რომ შვიდწლედის განვლილ პერიოდში მწყობრში შევიდა ორ მილიარდზე მეტი მანეთის ძირითადი ფონდები. მწყობრში ჩადგა ლაჯანურისა და მაღალწნევიანი ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურები, თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის პირველი და მეორე ტურბოგენერატორები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი მძლავრი დახურული ელექტროღუმელები, ქიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, გუდაუთისა და საგარეჯოს საბურავსარემონტო ქარხნები და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით, 276 ახალი ინდუსტრიული საწარმო და მსხვილი საამქრო.

ამ წარმატებათა გვერდით ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 1964 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულდა 90 პროცენტით. მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 94 პროცენტით. კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა ვერ შესრულდა სახალხო მეურნეობის მთავარ დარგებში — საშენ მასალათა მრეწველობაში, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ქიმიურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ.

ჩვენი მშენებლები ჩამორჩებიან ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების საქმეში. ვერ შევასრულეთ ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმაც.

რა არის კაპიტალურ მშენებლობაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი? ეს არის ფულადი სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ძალების დაქსაქსვა მშენებლობის პროცესში. ერთდროულად მეოთ გაუმართლებლად ბევრ საწარმოსა და ობიექტზე: ბოლოს, დიდი უწესივრობა მშენებლობის ორგანიზაციაში, რაც იწვევს უამრავი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გაყინვას, მშენებლობის ვადების მრავალი წლით გაჭიანურებას.

ზოგიერთი ობიექტის დამთავრებას ჩვენი მშენებლები რამდენიმე წელს უნდებიან. მაშინ როცა ამ სამუშაოს გონივრულად წარმართვისას იგი შეიძლება ორჯერ და სამჯერ უფრო ადრე დამთავრდეს. მაგალითისათვის დავასახელოთ აჭარის სილიკატური საკელი მასალების ქარხანა, რომელიც ახლახან ამუშავდა. იგი 11 წელიწადს შენდებოდა. უფრო სავალალო სურათია სურამის შუშის ტარის ქარხნის მშენებლობაზე. ათ წელიწადში მოხერხდა მხოლოდ... კორპუსის კედლების ამოყვანა!

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის მშენებლებს მაინც დიდი და სერიოზული სამუშაოთა შესრულება მოუხდათ. გასული წელი მათს მუშაობაში აღსანიშნავია იმით, რომ მშენებლებმა შეძლეს მრავალი ახალი სიმძლავრის, განსაკუთრებით ნედლეულის გადასამუშავებელ (ღვინის, საკონერვო და სხვ.), ასევე მეტალურგიულ, განსაკუთრებით ქიმიურ საწარმოთა ამუშავება და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად განავითარეს რესპუბლიკის სამშენებლო ბაზა. საშენ მასალათა მრეწველობა და მშენებლობის ინდუსტრია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ 2-3 წელიწადში მათ ამ მხრივ ასეთი კარგი შედეგები არა ჰქონიათ.

მომდინარე შვიდწლედში საქართველოში აშენდა დაახლოებით 5.200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. 727 ათასამდე კაცი შევიდა ახალ კეთილმოწყობილ ბინებში. დიდი მასშტაბით გაიშალა აგრეთვე სამოქალაქო მშენებლობა, აშენდა მრავალი საავადმყოფო, კლუბები, კულტურის სახლები, კინოთეატრები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში სკოლებისა და ჯანმთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის ტემპები 1963 წელს უფრო დამაკმაყოფილებელი იყო. ვიდრე შარშან. ეს ხარვეზი ჩვენმა მშენებლებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ. ასევე ყურადსაღებია თვით მშენებლობის ხარისხი. ჩვენი მშენებლები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან მოსკოველ, ლენინგრადელ, ჩელიაბინსკელ, ლატვიელ კოლეგებს სამუშაოთა შესრულების ხარისხში. შენობის მოპირკეთებაში, ახალი საშენი მასალების თამამად გამოყენების საქმეში.

უკანასკნელ პერიოდში ქართველ და ლენინგრადელ მშენებლებს შორის მეგობრობის შემოქმედებითი ბიდი გაიღო. საჭიროა უფრო სერიოზულად მოვაწყოთ ლენინგრადელთა მდიდარი სამშენებლო გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში, რათა უმოკლეს ვადაში საგრძნობლად ავამაღლოთ მშენებლობის კულტურა და ხარისხი.

კაპიტალური მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობა, რაც დამოკიდებულია საპროექტო გადაწყვეტათა ხარისხზე. ახალ საწარმოთა პროექტებს ყველაზე მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს, ეს პროექტები სამამულო და მსოფლიო ტექნიკის მიღწევებს უნდა ითვალისწინებდეს.

ხშირად რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები პროექტის შედგენისას სერიოზულ ზედმეტობას და დაუდევრობას უშვებენ, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს მშენებლობას. საჭირო გავაუმჯობესოთ საპროექტო საქმის ორგანიზაცია. უნდა ავამაღლოთ შემეკეთთა პასუხისმგებლობა პროექტების ხარისხისათვის.

ჩვენში ძირითადი საიჯარო ორგანიზაცია, რომელიც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში ახორციელებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, მშენებლობის სამინისტროა. სამწუხაროდ, მშენებლობის სამინისტრო და მისადმი დაქვემდებარებული სამშენებლო ორგანიზაციები წლითიწლობით ვერ ერთმანეთს თავს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ბარშან სამშენებლო სამუშაოთა გეგმა სამინისტროს ხაზით 92,2 პროცენტით შესრულდა, სამინისტროს 13 საერთო სამშენებლო ტრესტიდან რვამ ვერ შეასრულა საიჯარო სამუშაოთა დადგენილი გეგმა. უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან № 6, № 8 ტრესტები „ბიბეკინთმშენი" და სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო.

წელს საქართველოს მშენებლებს სერიოზული ამოცანები აქვთ გადასაჭრელი. უნდა დაჩქარდეს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგის, რუსთავის ფოლადსამსხმელო ქარხნისა და მეტალურგიული ქარხნის ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის საამქროს, აზოტოვანი სასუქების ქარხნის ციანიდური მარილების ელექტროლიზის, ელექტროლიტების და, რაც მთავარია, უნიკალური ნაგებობის — ენგურჰესის მშენებლობის სამუშაოები.

1965 წელი გარდატეხის წელია ენგურჰესის მშენებლობაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ წელს ამ ობიექტებზე ორჯერ გაიზარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამიტომ მშენებლებმა ძალების მაქსიმალური მობილიზაციით უნდა შეძლონ 1966 წლისათვის ჰესის მშენებლობის ძირითად სამუშაოზე გადასვლა. ენგურმშენებლებს დიდი, სერიოზული ამოცანები აქვთ, მაგრამ მშენებელთა პირველ რიგებში არიან კომუნისტები და კომკავშირელები — ჩვენი ნაცადი მებრძოლი ავანგარდი!

ჩვენ გვჯერა, რომ ლენინური კომკავშირის საქართველოს ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც გამოიჩინეს პატრიოტული თაოსნობა და გამოთქვეს სურვილი ჩავდნენ ამ სასატიო მშენებლობაზე სამუშაოდ, პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველა პირობას შეუქმნიან მათ, იზრუნებენ კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, მშენებელთა ყურადღებას წარმართავენ მთავარი ამოცანების შესასრულებლად.

დასასრულს უახლოვდება შვიდწლედის დამამთავრებელი წლის მეორე თვე. ეჭვისათვის, რომ რესპუბლიკის მშენებლებმა თავიანთ საქმიანობაში გამოასწორონ ზედგომარეობა და წელს უზრუნველყონ მშენებლობის გეგმის შესრულება, უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამშენებლო წარმოების ყველა რგოლის ეფექტიანობული მუშაობა. მიცემული აქვთ თუ არა დავალებანი უშუალო შემსრულებლებს? დამტკიცებულია თუ არა შიდასამშენებლო სატიტული სიები და ასამუშავებელი კომპლექსები? შემუშავებულია თუ არა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გრაფიკები ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს დოკუმენტაციის, მოწყობილობის, მასალების, კონსტრუქციების მიღებას, შეესაბამებოდეს სამშენებლო ქვეგანაყოფების სიმძლავრეს? დაწესდა თუ არა ყოველდღიური კონტროლი დავალებათა შესრულებისადმი? — ყოველივე ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის გეგმის შესრულება.

ძალების ასეთი მობილიზაციის ნაცადი საშუალებაა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც უნდა მოწყოს საქმიანად. ისე, რომ არ იყოს მოჩვენებითი პარადულობა, რომ თვითეულ მშენებლობაზე მუშაობა წარმოებდეს დეკადნიკ — პირობა დადე — შეასრულე კიდეც!



ᲣᲐᲖᲑᲔᲒᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

რეპორტაჟი

ღრმა თოვლს დაუფარავს ჯვარის გადასავალი. წინა დღეს მშვიდი ყოფილა უღელტეხილი, მთიულები ფეხით გადასულ-გადმოსულან, მარხილებსაც უმძრავიათ. ახლა კი ძნელია შებედო მთის სტიქიას, თოვლი დიდია, შესაძლოა ძლიერი ქარბუქი დატრიალდეს. მაგრამ რადის იყო, რომ მთიულები ზამთარს ემორჩილებოდნენ. რაიონის ცენტრში, მთის სოფლებში სიცოცხლე ჩქეფს. ჯერ იყო, კოლმეურნეები წლიურ ნაამაგარს აჯამებდნენ, ახლა კი დიდ პოლიტიკურ კამპანიაში ჩაებნენ — ფართოდ მიმდინარეობს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. ამოკვლები დარიალის ხეობას, და ყაზბეგში შესვლისთანავე იგრძნობ სახალხო დღესასწაულის მოახლოებას; გამოკრულია ლოზუნგები, პლაკატები. ადამიანთა ჯგუფებს შეხვდები კლუბში, ბიბლიოთეკაში, სამეცნიერეოში. რაიონულ საბჭოში სოფლებიდან მოდიან პროპაგანდისტები, აგიტატორები. მათ სურთ მიიღონ საარჩევნო ლიტერატურა, მასალები რაიონის, მისი ცალკეული კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ. აგიტატეი ხომ მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ცხოვრებას, საქმეს. უამისოდ იგი მოწყვეტილი, უსაგნო იქნება.

ყაზბეგელებმა წელს 75 დეპუტატი უნდა აირჩიონ რაიონულ საბჭოში. ორჯერ უფრო მეტი იქნება არჩეული სასოფლო საბჭოებში. ხალხის რამდენი შესანიშნავი წარმომადგენელი იქნება ბელისუფლების აგიტატორად ორგანოში! ყაზბეგი მეცხვარეობის რაიონია. ყაზბეგელთა ათიათასობით ცხვარი ამჟამად კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზეა გაშლილი.

რაიონში იცნობენ მოწინავე ადამიანებს. პარტიის რაიკომის მდივანმა ვ. ფირანიშვილმა საუბარში რაიონის ბევრი მოწინავე ადამიანი დაგვისახელა. იმავე ადამიანებს გვისახელებდა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ზიბლაური.

— ძნელია თბილისთან კავშირის დამყარება, — ამბობდნენ ისინი, — მაგრამ ჩვენ ისეთი აქტივი გვყავს, რომ არჩევნების საქმეში არ შევრცხვებით. ამ მხრივ დიდი გამოცდილება გვაქვს.

...სოფელ სიონში აგიტპუნქტის ჩირაღდანი აინთო. მოდიან სოფლის მკვიდრნი. ერთი გაზეთს კითხულობს, მეორეს — მხატვრული ლიტერატურა აინტერესებს, მესამე — კედელზე გამოკრული რაიონის მოწინავე ადამიანების სიას ათვალიერებს. აგიტპუნქტის გამგე ნ. ჩქარუული მოსულთ დაწერილებით ესაუბრება მოწინავე მწყემსების — დავით ოდიშვილის, ბიბო მგელაძის, სიმონ მგელაძის შესახებ. დავითის ოჯახმა გასულ წელს კოლმეურნეობაში 1.200 შრომადღე გამოიმუშავა. მარტო ფულად ამ ოჯახმა შრომადღეებზე 2.400 მანეთი მიიღო. ამას გარდა დავითმა დიდძალი პროდუქტები მიიღო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით. სიონელებს აქვიბენ რაიონში. ამ კოლმეურნეობამ გასულ წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 7 ათასი მანეთი ფუფაცი ჯილდო დაიმსახურა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის საგრძნობი გადაჭარბებისათვის.

არჩევნებისათვის ემზადება სოფელი კობი. ჩვენ ვნახეთ ამ სოფლის ბეჯითი ადამიანები კასპიისპირეთში ცხვართან საზამთრო საძოვრებზე. 28 ათასი სული ცხვარი ჰყავს კობის კოლმეურნეობას. ბევრი ახალგაზრდა ბეჯითი მწყემსი მეცხვარეობას ემსახურება იქ. კასპიისპირეთში, ბევრი კი სოფლის ფერმებში დატრიალებს და მსხვილფეხა რქიან პირუტყვს უვლის. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ბატაევმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ კობის ცხვარი თავისი ნამატით 42 ათასი სული დაუბრუნდება საზაფხულო იალაღებს. კობელები ითვალისწინებენ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ ათობით ტონა მატყლი, ხორცი, რძე. ამ ვალდებულების ნიშნით ემზადებიან ისინი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

ჩირაღდნები კიაფობენ ყაზბეგის კოლმეურნეობაშიც. აგიტპუნქტი საღამოობით ხალხს ვერ იტევს. აქ კოლმეურნეებს შეუძლიათ მოისმინონ საინტერესო საუბრები დაელიერეულ-პუბლიცისტურ თემებზე. პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმული არიან სოფლის აქტივისტები — მასწავლებლები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

სოფლებში ეწყობა დეპუტატების შეხვედრები ამომრჩეველებთან. ახლახან სოფელ გერეგეში ამომრჩეველებს ანგარიში ჩააბარეს რაიონული საბჭოს დეპუტატებმა ივანე ჩოფიკაშვილმა და გურამ რუჯაშვილმა. ამომრჩეველებმა მათ მადლობა გადაუხადეს იმის გამო, რომ მათი ინიციატივით მოეწყო სასოფლო კლუბისა და წყალსადენის მშენებლობა. ასეთივე კარგი სახელი დაიმსახურა რაიონული საბჭოს დეპუტატმა ნ. ხეთაგურმა, რომლის თაოსნობით ტყარშეიში აშენდა დაწყებითი სკოლის შენობა.

ახლახან არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების, აგიტატორების რაიონული შეკრება. სიონის აგიტპუნქტმა მოაწყო სამამულო ომის მონაწილეებთან შეხვედრა. რაიონის საუკეთესო აგიტატორებად ითვლებიან დავით, ირაკლი და ეთერ არაბულები, რომლებიც სოფელ ჯუთაში, ზღვის დონიდან 3.000 მეტრ სიმაღლეზე მუშაობენ.

ყაზბეგი გულმოდგინედ ემზადება. მთიულებს სურთ ახალი საჩუქრებით, სამეურნეო წარმატებებით შეხვდნენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

შ. ჭოჭუა,
ი. თედიაშვილი.

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.
ყაზბეგი, 12 თებერვალი.

* * *

სურათზე: ახალგაზრდა აგიტატორები (მარცხნიდან) მერი ჩქარეული, ნუნუ ფიცხელაური, ლუიზა ქირიკაშვილი და სონია გელაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲒᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ინდოჩინეთის ხალხთა კონფერენციის მოწვევა, იმედი გვაქვს, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება იმ გზაზე, რომ ინდოჩინეთის ხალხები შეკავშირდნენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის დასაცავად და მშვიდობის დასამყარებლად დედამიწის ამ რაიონში, ნათქვამია დეპეშაში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გაუგზავნა ამ კონფერენციის მოსამზადებელ თათბირს ჰნომ-პენში.

ახლა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის ნორმალიზაციის მთავარი დაბრკოლებაა ამერიკელ იმპერიალისტთა რეაქციული პოლიტიკა, აღნიშნულია დეპეშაში. ინდოჩინეთის ხალხებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი საქმეები. ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიანი ბრძოლაა. ამ ბრძოლას მუდამ გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ხალხები და მთავრობა. (საკდესი).

სსრ კავშირის აზიის მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა დელეგაციამ ინდოეთში ჩავა

ინდოეთის პარლამენტის საქმეთა მინისტრმა სატია ნ. სინჰამ სსრ კავშირის აზიის მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა დელეგაცია ინდოეთში მიიწვია. აზიის რესპუბლიკათა უმაღლესმა საბჭოებმა მადლობით მიიღეს ეს მიწვევა.

ქართული ხელოვნების თაყვანისმცემლები

ელისტა, 16 თებერვალი. (საკდესის კორ.). თბილისის ესტრადის მსახიობმა, რომელებმაც ახლახან დაამთავრეს ორი კვირის გასტროლები ყალმუხეთში, ათასობით ახალი თაყვანისმცემელი შეიძინეს.

მთის წარგზავნილთა პირველ გამგზავრებას ყალმუხეთში ყალმუხეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა უ. ლიჯიევამ ტრიუმფალური უწოდა.

— სტუმრებმა შესძლეს გადმოეცათ თავიანთი ხელოვნების ერთვნული კოლორიტი. საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შესრულების მაღალი ოსტატობა, — ასე შეაფასა დასის გამოსვლები რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. მანჯიევმა.

მ. ბოტკოველისა და ა. ჩიხლაძის ვოკალურ-ინსტრუმენტული დუეტის შესრულების ლირიზმმა, მოცეკვავე ვ. გიორგობიანის მგზნებარებამ და მოხდენილობამ, მ. ნურისლამოვას საოცარმა სინარნარემ, დიდმა ოსტატობამ და თავისებურებამ სასტატისა და ეკინტატისა ე. კახიძის ხელმძღვანელობით მაყურებლებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს. განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ მაყურებლები საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ესტრადის ოსტატთა პირველი სრულიად საკავშირო კონკურსის ლაურეატის ო. დოლიძის გამოსვლებს (იუმორი, სატირა, ფელეტონი), რომელმაც მაყურებელი მოხიბლა გარდასახვის დიდი ოსტატობით, ტალანტის მრავალფეროვნებით.

საგაზაფხულოდ!

კულტივატორებისა და გუთნების რემონტი

დადგა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების გადამწყვეტი პერიოდი. დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების, გუთნებისა და კულტივატორების მომზადებას გაზაფხულისათვის. სულ რესპუბლიკაში შეკეთებულია 1.460 გუთანი.

ყველაზე მეტი შეაკეთეს **წითელწყაროელმა** მექანიზატორებმა — სულ 221 გუთანი. **სოღნალის** რაიონში შეკეთებულია 130 გუთანი, **გარდაბნის** რაიონში — 108, **თელავის** რაიონში კი — 85 გუთანი.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კულტივატორების შეკეთება. სულ შეკეთებულია 408 კულტივატორი.



60 პექტარი უჭირავს ხეხილის ბაღებს გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ესტონეთში". **სურათზე:** ხეხილის ბაღების რიგთაშორის დამუშავება სოფელ ესტონეთის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების 1964 წლის IV კვარტალის მასალები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ შეჯიბრებაში გამარჯვებულად 1964 წლის მეოთხე კვარტალში ცხენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის № 1 ღვინის ქარხნის, თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივები, მიანიჭეს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიეცა: ბინსკელ, ლატვიელ კოლეგებს სამუშაოთა შესრულების ხარისხში, შენობის მოპირკეთებაში, ახალი საშენი მასალების თამამად გამოყენების საქმეში.

უკანასკნელ პერიოდში ქართველ და ლენინგრადელ მშენებლებს შორის მეგობრობის შემოქმედებითი ბიდი გაიღო. საჭიროა უფრო სერიოზულად მოვაწყოთ ლენინგრადელთა მდიდარი სამშენებლო გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში, რათა უმოკლეს ვადაში საგრძნობლად ავამაღლოთ მშენებლობის კულტურა და ხარისხი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ᲭᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲓᲡᲔᲣᲚᲗᲘ

ᲐᲛ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის მოღვაწეებს, სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრებს გადასცეს სიგელები სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ** საჯაროდ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ** სიგელები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეს, სპორტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელს **ა. მ. აფაქიძეს** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს **გ. ნ. ჯიბლაძეს,**

სიგელები საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადასცეს უფროსი თაობის ხელოვნების მოღვაწეებსა და ნიჭიერ ახალგაზრდობას. ეს საპატიო წოდებანი მიანიჭეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტ **მ. პ. ამირანაშვილს,** თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს **ბ. ა. ზაქარიაძეს,** თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამღერის მასწავლებელს **მ. დ. ყვარელაშვილს,** თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს **მ. ი. პიასეცკის,** კინორეჟისორს **ნ. კ. სანიშვილსა** და სხვებს.

რეჟისორს, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს **ა. ი. მიქელაძეს,** თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირიჟორს **კ. ს. სირბილაძესა** და სხვებს

გადასცეს სიგელები საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთა დიდ ჯგუფს გადასცეს სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. მათ შორის არიან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კონცერტმაისტერი **ე. ვ. აირუმოვა,** ამავე თეატრის სოლისტი **რ. გ. გელოვანი,** თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის მსახიობი **შ. ბ. ლორთქიფანიძე,** თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო თეატრის მსახიობი **გ. ა. მალიშევა,** თოჯინების ქართული სახელმწიფო თეატრის მსახიობი **ვ. ბ. ნიკოლაიშვილი,** თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი **გ. ი. გოცირელი** და სხვები.

სიგელი საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის მხატვარ-დამდგმელს **შ. ი. ყორეოლაძეს.**

საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის დაუსწრებელი ელექტროტექნიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის უფროსმა **ლ. ტ. გვარჯალაძემ** მიიღო სიგელი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცეს სახედრო-სამეცნიერო საზოგადოების აქტიურ წევრებს — გადამდგარ პოლკოვნიკებს **გ. ა. ჩარგეიშვილსა** და **ვ. ვ. კულიკოვს,** გადამდგარ პოლპოლკოვნიკს **ი. ი. ჭოლოშვილს,** მედიცინის სამსახურის გადამდგარ პოლკოვნიკს **შ. ა. ნიფარაძეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები მიიღეს კინორეჟისორმა **მ. ე. ჭიაურელმა,** მეტალურგიის დარგის თვალსაჩინო სპეციალისტმა, მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსმა ინჟინერმა **ი. ს. ლორთქიფანიძემ,** სახელგანთქმულმა სპორტსმენმა **ბ. ს. პაიჭაძემ** და ქართული საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **ა. ბ. ჯაფარიძემ.**

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **თ. ვ. მუშკუდიანმა,** გადამდგარმა პოლკოვნიკმა **გ. ი. ჩარგეიშვილმა,** საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა **მ. დ. თაბუკაშვილმა,** საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ე. ა. ჩოხელმა,** სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ბ. ს. პაიჭაძემ** მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღნიშნეს, რომ ჯილდოები და საპატიო წოდება, ბევრს ავალებს მათ.

ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ** გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი მათს საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში, რწმენა გამოთქვა, რომ ისინი კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჯილდოების გადაცემას ესწრებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი.** (საქდესი).

მსოფლიო სტანდარტების დონეზე

ასე იგრძვის პარტიული ორგანიზაციის ელმავლის ღირსებისათვის

რა გავლენის მოხდენა შეუძლია საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მოქნილ ორგანიზატორულ მუშაობას ამავე საწარმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეზე, როგორ უნდა ჩადგეს ხარისხისათვის ბრძოლის სათავეში, რა ბერკეტები უნდა აამოძრაოს საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციამ იმისათვის, რომ ნაწარმის ხარისხის უმაღლეს დონემდე აყვანის ვალდებულებათა განაღდებაში კოლექტივს წინ გაუძღვეს? ასეთი მოქნილი ორგანიზატორული მუშაობის საყურადღებო ცდა გვიჩვენა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა. ქვემოთ მოთხრობილია ამ ცდის შესახებ.

კომუნისტი
და საწარმოს გეგმა

ფელიფანდასვილი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოში ყველაზე ჩამორჩენილ უბნად დიატომიტის საშრობ-საფქვავი საამქრო ითვლებოდა.

რატომ ჩამორჩება საამქრო, რა არის ამ ჩამორჩენის მიზეზი? ასეთი კითხვები მკაცრად დააყენეს საწარმოს კომუნისტებსა პარტორგანიზაციის ერთ-ერთ კრებაზე.

კრებამ იქვე გამოპყო კომისია და დავალა მას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფთან ერთად საფუძვლიანად შეესწავლა ჩამორჩენის მიზეზები და მორიგ პარტიულ კრებაზე განსახილველად გამოეტანა ეს საკითხი.

ერთი თვის მანძილზე კომისიამ და კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა მართლაც საფუძვლიანად შეისწავლეს საშრობ-საფქვავი საამქროს მუშაობა. კომუნისტებმა გამოარკვიეს, რომ საამქროში შრომის დაბალი ნაყოფიერების ძირითადი მიზეზი დიატომიტის საფქვავი ნისქვილის მძიმე ექსპლუატაციაა, ამასთან ერთად ნისქვილის ძველ-ებური ტექნიკური პროგრესის წინსულია ქართული ელმავლების შემქმნელები. მათ ქვეყანა გააცანეს ახალი „ვლ-10“ ტიპის მძლავრი საცდელი ელმავლების გამოშვებით.

ახალი „ვლ-10“ ტიპის ელმავალს მრავალი უპირატესობა აქვს „ვლ-8“ ტიპის ელმავალთან შედარებით: ათასი კილოვატით უფრო მძლავრია და ამასთან 4 ტონით უფრო მსუბუქი (მაშასადამე, ამდენადვე ნაკლები ლითონი იხარჯება მის გაკეთებაზე). თუ „ვლ-8“ ტიპის ელმავალი 80-90 კილომეტრის საათობრივი სიჩქარისას ლიანდაგზე არასასურველ დინამიკურ ზეგავლენას ახდენს, ახალი ელმავალი 100-120 კილომეტრის საათობრივი სიჩქარისასაც კი ლიანდაგზე არასასურველ ზეგავლენას არ ახდენს. გარდა ამისა, ახალი ელმავალი აღჭურვილია ბუქსაობის საწინააღმდეგო სქემით, რეკუპერაციის რეჟიმში მოკლე შეერთების თავიდან ამცდენი მოწყობილობით.

ეს ახალი ელმავალი დააპროექტა და საათანადო საწარმოო დოკუმენტაცია შექმნა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ შექმნილმა „ელმავლების სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ“, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოწინავე კონსტრუქტორი გ. ქსოფელი ხელმძღვანელობს. ამავე ბიუროში დაპროექტეს კიდევ უფრო ახალი და წვეის დარგში მომუშავე რკინიგზელების საოცნებო ლოკომოტივი — ცვლადი დენით მომუშავე ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავალი „ვლ-40“, რომლის პირველი საცდელი ნიმუში თბილისელმა ელმავალმშენებლებმა წელს უნდა გამოუშვან. ცვლადი დენის ეს, ჯერ ისევ წარმოების პროცესში მყოფი ელმავალი სპეციალისტების საყოველთაო ინტერესს იწვევს. ეს იმიტომ, რომ, გარდა სხვა მრავალი სიახლისა, მისი კონსტრუქციული სიჩქარე იქნება საათობრივად 140-160 კილომეტრი და მასზე გამოყენებული იქნება კაჟბადის ნახევარგამტარების ბლოკი.

ზემოთ აღნიშნულიდან მკითხველი უკვე გაიოტანს დასკვნას, რომ საქართველოში ელმავალმშენებლობაში საუკეთესოდ აღიარებული მსოფლიო სტანდარტების დონის მისაღწევად შეუნელებელი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ მთავარი ის არის, თუ რამდენად შეესაბამება ამ შემოქმედებითს მუშაობას საწარმოს მუშაობა, როგორ აბორციელებენ პროექტებს ლითონში ელმავალმშენებლები, რა გვიჩვენეს „ვლ-10“ ტიპის იმ ახალმა ელმავლებმა, რომლებიც გამოსაცდელად გაგზავნეს სამხრეთ ურალის რკინიგზაზე?

პარტიული ცხოვრება

ეცნიერების ახალი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას ადრევე დიდი ყურადღება ექცეოდა გორაბერეჟოულის კოლმეურნეობაში, ხოლო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების ანალიზს, იმას, თუ რა ჯდება ესა თუ ის პროდუქცია, ახლო წარსულამდე სათანადო მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ეს ცუდად მოქმედებდა კოლმეურნეობის ეკონომიკაზე. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე კ. დოლიძე) ბოლო წლებში მთავარ ამოცანად თვლის იმას, რომ ისწავლოს და მშრომელებს ასწავლოს ანგარიში, იცოდეს სად მიდის თვითეული სოზოგადოებრივი კაპიკი, რაზე იხარჯება შრომა.

მეურნეობის ცალკეული საწარმოო ერთეულების გაძღოლის გარანტირებული მეთოდია შიდასამეურნეო ანგარიშის შემოღება. გორაბერეჟოულელებმა გადაწყვიტეს 1963 წელს კოლმეურნეობაში დაენერგათ შიდასამეურნეო ანგარიში. ეს საქმე ერთობ რთულია, წვრილმანებში ჩახედვას, ეკონომიკის ღრმა ცოდნასა და საერთო მომზადებას მოითხოვს.

კოლმეურნეობაში შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის მზადების პერიოდში პირველ რიგში მეურნეობის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ საქმიანობაზე გაამახვილეს ყურადღება. აქ საჭირო იყო არსებული საწარმოო ბრიგადების და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის დაზუსტება. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ ცხადყო, რომ შეიძლება ზოგიერთი, ასე ვთქვათ, საშტატო ერთეულის შემცირება. კერძოდ მემინდვრეობაში ოთხი ბრიგადის ნაცვლად შეიძლებოდა დარჩენილიყო სამი ბრიგადა. აუცილებელი გახდა ფერმის გამსხვილება, დაქსაქსული პირუტყვის თავმოყრა და სხვ.

თუ ადრე ყოველ 12 კოლმეურნეზე სამმართველო აპარატის ერთი მუშაკი მოდიოდა და მათ შესანახად იხარჯებოდა ხელფასის წლიური ფონდის 6 პროცენტი, ამჟამად აღნიშნული სახის დანახარჯი 3,6 პროცენტს არ აღემატება. მარტო საწარმოო ბრიგადის გამსხვილებით წლიურად 1.300 მანეთი დაიზოგა. ყოველივე ამან თავის მხრივ შეამცირა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

საჭირო გახდა შიდასამეურნეო დებულების შემუშავება, მისი ძირითადი პრინციპების ფორმულირება, რომლებზეც უნდა დაეყრდნოს წარმოების გაძღოლის ეს სისტემა. ამ საქმეში კოლმეურნეობას დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ეკონომისტმა ვასო ზედგინიძემ, კოლმეურნეობის ეკონომისტმა ნორა კობიძემ, მთავარმა ბუხპალტერმა ქეთო დუმბაძემ.

მეურნეობის საქმე

ვისწავლოთ და ვასწავლოთ ანგარიში

ზედგინიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით აქტივთან ერთად შეიმუშავეს დებულება და იგი დაამტკიცა კოლმეურნეობის საერთო კრებამ. დებულებაში შეტანილია კოლმეურნეობის ყველა სამეურნეო ერთეული — მემინდვრეობის ბრიგადები, ფერმა და სხვ. თვითეულისათვის დაწესებულია წლიური გეგმა. პროდუქციის წარმოების გეგმაში ნაჩვენებია ნატურალური მაჩვენებელი და ფულადი შეფასება სახელმწიფო შესყიდვის ფასებში. განსაზღვრულია მატერიალური და შრომითი დანახარჯების ლიმიტი. წლიური ანგარიშების საფუძველზე დგება საწარმოო ბრიგადებისა და ფერმის ყოველთვიური დავალება.

დებულება ითვალისწინებს თვის, კვარტალისა და წლის ბოლოს გეგმის შესრულების შემოწმებას და იმას, თუ როგორ იხარჯებოდა თანხები, დაცულია თუ არა ლიმიტი, არის ეკონომია თუ გადახარჯვა. გეგმების შემოწმების შედეგებს განიხილავენ ბრიგადებისა და კოლმეურნეობის წევრთა თათბირებზე, კრებებზე.

იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბრიგადის წევრებისათვის ნაკვეთიერ ცოდნას. ყოველივე ამისათვის მოომზადებით უნდა ასწავლო ადამიანებს. ასეთია კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა პირდაპირი მოვალეობა. კოლმეურნეობა ხშირად გზავნის რაიონში მოწყობილ ეკონომიურ კონფერენციებზე მუშაკებს, აგრეთვე ადგილზე ატარებს მეცადინეობას. შარშან აქ ათჯერ მოეწყო მეცადინეობა. მომხსენებლებად გამოვიდნენ თავმჯდომარე კ. დოლიძე, ეკონომისტი ნ. კობიძე, აგრონომი რ. ბერიძე და სხვები. ბოლო მეცადინეობა მიეძღვნა პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების, ხარისხის გაუმჯობესებისა და დანახარჯების ზუსტად გაანგარიშების საკითხებს. ამ მეცადინეობაზე მოწყობილმა სკა-ბაასმა გაარკვია, რომ დიდია შიდასამეურნეო ანგარიშის სიკეთე.

შიდასამეურნეო ანგარიშის პრინციპების მიხედვით საწარმოო ბრიგადებს გაუნაწილეს ნაკვეთები. პირველ ბრიგადას მიუჩინეს 73, მეორე ბრიგადას — 75 და მესამე ბრიგადას — 65 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და სახნავ-სათესი, მეცხოველეობის ფერმაში კი თავი მოუყარეს 89 ღორს და 182 მსხვილფეხა რქიან პირუტყვს.

პროდუქციის წარმოების საჭირო დანახარჯი დაგეგმეს ცალკე დარგების, კულტურების და მათი საერთო მოსავლის მიხედვით. მაგალითად, პირველ ბრიგადას (ბრიგადირი გ. სირაძე) 39 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან უნდა მიეღო 95 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო 34 ჰექტარი ნათესიდან 67 ტონა სიმინდი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებაზე უნდა დაეხარჯათ 30 ათასი მანეთი, ხოლო სიმინდის წარმოებაზე — 6,5 ათასი მანეთი. ფაქტიურად აღნიშნულმა ბრიგადამ 96 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 84,5 ტონა სიმინდი აწარმოა. 96 ტონა ჩაის ფოთლის წარმოებაზე დაიხარჯა 27.269 მანეთი, ხოლო 84,5 ტონა სიმინდის წარმოებაზე — 6.420 მანეთი. ამან ბრიგადას საშუალება მისცა კაც-დღეზე 1,8 მანეთის ნაცვლად 2,5 მანეთი ფული გაეცა.

პირველ ბრიგადას მხარი გაუსწორეს დანარჩენმა ბრიგადებმა და ფერმამ, რის შედეგადაც კოლმეურნეობაში ცენტნერი ჩაის წარმოების დანახარჯები 3,4 მანეთით, ცენტნერი სიმინდისა კი 4 მანეთით შეკლერდა. 1963 წელს ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე 13 მანეთი დაიხარჯა, შარშან კი — 9 მანეთი. ასე მოხდა მეცხოველეობაშიც. მეღორეობის ა. და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმების გაერთიანებამ და მისმა მექანიზაციამ რენტაბელური გახადა იგი. ცენტნერი ხორცის წარმოების ღირებულება 2,5 მანეთით, ხოლო რძისა 1,2 მანეთით შემცირდა. სახელმწიფოს 1964 წელს 294 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩაბარდა. სიმინდის მოსავლიდან ჰექტარზე საშუალოდ 9 ცენტნერით იმატა. ფულადი შემოსავლის გეგმა 319 ათას მანეთს ითვალისწინებდა, ფაქტიურად მიიღეს 355 ათასი მანეთი. კაც-დღეზე 1,8 მანეთის ნაცვლად 2 მანეთი და 15 კაპიკი გაიცა.

კოლმეურნეობის შუქურები: მეჩაიეები — ნინო კოტრიკაძე, ნაზი დევაძე, შუშა ცინცაძე, ეთერ წიტაიშვილი; მესიმინდეები ვაჟა დოლიძე, დიმიტრი სირაძე, ბესარიონ კობიძე, ივანე ჯამბერიძე; მეცხოველეები — ალექსანდრე ცინცაძე, რაფდენ რამიშვილი, მიხეილ დოლიძე თავიანთ გამოცდილებას ხალისით უზიარებენ თანასოფლელებს. ეს კი მშრომელებს დიდად ეხმარება საერთო წარმატების მიღწევაში.

ამ მეურნეობაში გულმოდგინეთ მოაწყეს აღრიცხვა. აქ თვითეული კაპიკის ფასი იციან და ცხოვრებაში შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის კარგ მაგალითს იძლევიან. კოლმეურნეთა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ღონისძიებათა განხორციელებით, ყველა საწარმოო ბრიგადასა და ფერმაში ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვით, მექანიზაციაზე დაყრდნობით, მინერალური და ორგანული სასუქების გონივრული გამოყენებით უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სისტემატურ მატებას.

დ. კომახიძე.

ჩოხატაურის რაიონი.

ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მთავრდება ბარიუმის საამქროს საფქვავ-საკაზმი განყოფილების მონტაჟი. ხურათზე: მოწინავე მემონტაჟეები (მარცხნიდან) კ. ბუაძე, დ. გოგიაშვილი და გ. დოხნაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

მკვდარი სულები
ოფრეთიდან

სოფელი ოფრეთი მარნეულის რაიონშია. ვერ ვიტყვით, რომ აქაურ მაცხოვრებლებს ბარაქა და შრომა არ უყვარდეთ. ეს თვალნათლივ ჩანს თუნდაც სოფელში შესვლისთანავე. აქ ყველგან ლამაზი სახლები და წესრიგში მოყვანილი ეკარ-მიდამოებია, მაგრამ სოფლის ცენტრში უცხო კაცის ყურადღებას მაინც ერთი სახლი მიიპყრობს.

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

ფაშა ლავრენტიევი! — 70 წლის მოხუცი, რომელმაც დღიდან კოლმეურნეობის შექმნისა შრომასა და ბარაქაში გაატარა თავისი სიცოცხლე. შორს ნუ წავალთ. შარშანდელი წელი აკიღოთ. ამ მოხუცმა კაცმა 709 შრომადღე გამოიმუშავა მეცხოველეობის ფერმაში მუშაობით. გამოიახგარიშეს და მისმა წლიურმა შემოსავალმა 2.491 კილოგრამი მარცვალი და 1.074 მანეთი შეადგინა. განა ცოტაა? ახლა ამას მისი მეუღლის — მწველავ ა. ლავრენტიევას შემოსავალსაც თუ დავუმატებთ, ოჯახის ბიუჯეტი ერთიორად გაიზრდება.

ჰოდა, რა გასაკვირველია, თუ ამ შრომისმოყვარე ოჯახს შესანიშნავი სახლი და კარ-მიდამო, მშვენიერი საოჯახო ნივთები აქვს...

ფ. ლავრენტიევის მაგალითი სოფელში განა ერთადერთია? ვისაც შრომა და გარჯა უყვარს, ყველას კარგად აქვს მოწყობილი ცხოვრება. ნ. **შარმაზოვმა** შარშან დაამთავრა კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, არც გასჭირვებია. კოლმეურნეობაში მრავალი წლის ენერგიული მუშაობით იმდენი დაგროვა, რომ მეორე სახლსაც კი აიშენებდა.

ასე ამკობს საკოლმეურნეო შრომა ადამიანს.

როცა სოფელში ლაპარაკი შრომაზე ჩამოვარდება, არ შეიძლება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. **კირსანოვი, ბ. ბერძენიშვილი, ა. ბუდაგოვი, მ. ჩივჯევი** და ა. **ლავრენტიევი**. არიან კიდევ საკმაოდ. სავალდებულო მინიმუმით დაწესებული 200 შრომადღის ნაცვლად თვითეულმა მათგანმა შარშან 400-500 შრომადღე გამოიმუშავა, ამიტომაც არის, რომ მათი ბეღლები მუდამ ავსებულია ხვავითა და ბარაქით.

სოფელში ამბობენ, შრომის სიყვარული თაობიდან თაობას გადაეცემაო. ეს კვლავ მოხუც ფაშა ლავრენტიევზე ითქმის. თვითონ ხომ შრომობს, მაგრამ ახლა შვილების — გიორგისა და პეტრეს სქმიანობას გადახედეთ. ერთიც და მეორეც რიგითი კოლმეურნეა, და რამდენიმე წელია მათი პორტრეტები კოლმეურნეობის წითელ დაფას ამშვენებს.

კომბაინერი კონსტანტინე ლავრენტიევიც მამას დაემსგავსა. სოფლის თვალიაო, ამბობენ მათზე კოლმეურნეობაში. ამასვე იმეორებენ **მამაშვილზე** — იორდანე და პეტრე ბეკანოვებზე, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ სოფლის გასალხინიერებლად, კოლმეურნეობის ეკონომიკის გასაძლიერებლად.

და რაოდენ დასანანია, ამ გულმოდგინე და ბეჯითი კოლმეურნეების გვერდით რომ არიან ცუღლუტები და უქნარები, რომლებიც კოლმეურნეთა უფლებებით სარგებლობენ, თვით კოლმეურნეობას კი არავითარ სარგებელს არ აძლევენ.

გოგოლის ჩიჩიკოვს რომ სცოდნოდა, პირველ რიგში ალბათ ოფრეთში მოვიდოდა „მკვდარი სულების“ შესაძენად. მთი რაოდენობა მართლაც დიდია კოლმეურნეობაში, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს — ყველაზე „გამოჩენილს“.

სოფელში უსაქმოდ დაიხეტებოდა ვლადიმერ ნაზარის-ძე **ლაზოვი**. რათ მინდა მუშაობა, — ამბობდა იგი. — იმდენს, რამდენსაც ერთი წლის შრომით გავაკეთებ, ერთ დღეში ვიშოვნი. თქვა და გააკეთა კიდეც. შრომას ქერდობა არჩია, დაიწყო სოფლის ძარცვა და ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა ამ თავგაშვებული კაცის პარაზობა, რომ ერთ დღეს დანაშაულის ადგილზე არ წაესწროთ. იგი დააპატიმრეს.

იქ გამოსწორდებაო, ამბობდნენ სოფელში. მაგრამ პატიმრობის ვადა რომ გადუვდა, ლაზოვი სოფელში დაბრუნდა და კვლავ არაწესიერ ცხოვრებას მიჰყო ხელი. კოლმეურნეობაში კი წევრად ითვლება.

ახლა ნიკოლოზ ივანეს-ძე **ჩოლოხსაევს** გავეცნოთ. დიდხანს უსაქმურობაში გაატარა დრო და მერე თქვა, რა ჩემი საქმეა სოფელი. წავალ აგერ რუსთავში და კაცი გავხდებიო. ეს აზრი სოფელში მაინცდამაინც არ სწყენიათ, პირიქით, მოიწონეს, ალბათ ახლა ცხოვრების ნამდვილ გზას დგებაო. მაგრამ ამაოდ. რუსთავშიც შრომა მოთხოვეს. ეს არ გაკეთა და იძულებული გახდა კვლავ მშობლიურ სოფელს დაბრუნებოდა.

როგორ არ ეხვეწნენ და ემუდარნენ თანასოფლელები, იმუშავეო, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ. ეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდა კვლავ უსაქმურად დაეხეტება. ეს ხდება მაშინ, როცა კოლმეურნეობაში აქტიურად შრომობენ ხანდაზმული კოლმეურნეები პეტრე და ნინო **კილიაროვები, ა. ბუდაგოვი, ა. ლავრენტიევი** და სხვები.

ცუდი ხმები დადის **სოფელში ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ჩივჯევისა** და მისი **მეუღლის თამარის** შესახებ. ერთიც და მეორეც კოლმეურნეობის წევრია, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, რაც საკოლმეურნეო საქმიანობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

არ გეგონოთ, რომ ისინი მთლად უსაქმურები იყონ, ტყეში დადიან, შეშას ამზადებენ და შემდეგ სპეკულანტურ ფასებში ჰყიდიან.

50 წელს მიაღწია ალექსანდრე კილიაროვმა. კაცმა რომ თქვას, ახლაა ჯანზე, მაგრამ რათ გინდა! 3-4 წელია გული აიყარა კოლმეურნეობაში მუშაობაზე, თითქოს ავადა ვარო. მაგრამ სოფელს განა გამოეპარება რამე!

თუ ავად არის, როგორ მუშაობს ტყეში შეშის დამზადებაზე?

ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ კოლმეურნეობაში ცუდად დგას აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგჯერ არღვევენ საკოლმეურნეო წესდებას, არ იღებენ ქმედითი ზომებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საყოველთაო გაკიცხვა იმათ, ვინც არცხვენს სოფელს, ცხოვრობს სოფელში და სოფლის კეთილდღეობისათვის არაფერს აკეთებს.

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის“ კორ.

პარტიულ ორგანიზაციებში
თათბირ-სემინარი

დუშეთი. (საკ. კორ.). ადგილობრივი საბჭოებისა და სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის მზადების მიეძღვნა თათბირ-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, ლიტერატური მუშაობის ამოცანები.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს აგრეთვე საუბრები: „ხალხ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოება კომუნიზმის გაძლიერი მშენებლობის პერიოდში“, „სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები და მათი უფლება-მოვალეობანი“, „საოჯახო სამართლის საკითხები“.

მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა გ. ერემოვმა, დოცენტებმა ვ. ფარკოსაძემ და ნ. ლომთათაძემ.

ცოდნას ეუფლებიან

ამ დღეებში საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლმა და ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა მოაწყეს პროპაგანდისტთა სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ბეკოვასი: „სოციალისტურ სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარება სკკპ პროგრამაში“ და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის ა. ალექსანდროვისა „პროპაგანდისტის სიტყვის კულტურა“.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. ცხოვრებოვამ დამსწრეთ გააცნო მომდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემის სანიმუშო სასწავლო გეგმაში მომხდარი ცვლილებანი და დამატებანი.

რ. მიდოდაშვილი.

კითხვა-პასუხის საღამო მაღაროში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება არჩევნებისათვის.

მაღაროს პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით აქ მოეწყო სახალხო სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისადმი მიძღვნილი კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც დიდძალი ამომრჩეველი დაესწრო.

შემოსულ შეკითხვებზე პასუხები გასცეს ჭიათურის პროკურორმა შ. მირონაძემ, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. თევზაძემ, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა პ. დავითულიანმა, ლენინის სახელობის მაღაროს შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსმა გრ. ხვედელიძემ.

კითხვა-პასუხის საღამომ შინაარსიანად ჩაიარა.

„კომუნისტის“ სიგნალის კვალდაკვალ

ვინ პრის დამნაშავე?

გვიპასუხებს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი

ასეთი სათაური ჰქონდა წერილს, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის“ 21 იანვრის (1965 წ.) ნომერში. ამ წერილში მხილებული იყო გულრიფშის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში და საერთოდ სოფელში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. დ. გოგობერია რედაქციას აცნობებს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 8 თებერვალს განიხილა სოფელ ახალშენის შრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის საკითხი.

ბიურომ აღნიშნა, რომ სოფელ ახალშენში ცუდად დგას შრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი. რამდენიმე წლის წინათ დაწყებული იყო კლუბის მშენებლობა და დღესაც არ არის დამთავრებული. სოფელში იშვიათად ეწყობა პოლიტიკურ-მასობრივი ღონისძიებები — ლექციები, მოხსენებები. თვითმოქმედების საღამოები. არ უჭვენებენ კინოსურათებს. ეს არის ამის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ახალგაზრდობა მიდის სოფლიდან. კოლმეურნეობაში ცუდია გასული სამეურნეო წლის შედეგები.

სოფელში ავტობუსები არ დადის და შრომელები მოწყვეტილი არიან ქალაქ სოხუმს. სოფლის მაღაზია ვერ აკმაყოფილებს შრომელთა მოთხოვნილებას სამრეწველო, სასურსათო და სხვა საქონელზე. ცუდად არის დაყენებული შრომელთა სამედიცინო მომსახურება. ამ სოფლიდან სოფელ შრომამდე გზა დანგრეულია, კოლმეურნეობას არა აქვს ტრაქტორი, ავტოტრანსპორტი და სხვ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის გულრიფშის რაიკომს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და განახორციელოს ახალშენში კულტურულ-მასობრივი, პოლიტიკური მუშაობის ჯეროვნად დაყენების ქმედითი ღონისძიებები. აფხაზკოოპკავშირს დაევალა უზრუნველყოს ახალშენის შრომელთა მომარაგება პირველი მოთხოვნილების პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით. უახლოეს ხანში გადაწყვიტოს ამ სოფელში პურის საცხობის მშენებლობის საკითხი.

პარტიის გულრიფშის რაიკომმა და რაიახპბჭომ აღმასკომმა უნდა გამოიყონ სახსრები ახალშენში კლუბის მშენებლობისათვის და მოაკვალონ კოლმეურნეობისათვის ავტომანქანების, ტრაქტორისა და ბულდოზერის გამოყოფა. საოლქო კომიტეტის ბიურომ დაავალა **აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს** ამხ. შ. ბოგოხიას მიიღოს გადამწყვეტი ზომები ახალშენის შრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. **აფხაზეთის ასსრ აღმასრულებელ კომიტეტის სამინისტროს** (ამხ. ვ. ავალრეანი) სისტემატურად გაგზავნოს ახალშენში და სხვა მთიან სოფლებში მხატვრული კოლექტივები შრომელთა მომსახურებისათვის.

აფხაზეთის ასსრ კინოფიკაციის სამმართველოს (ამხ. ჭელიძე) დაევალა სისტემატურად უჩვენოს ახალშენის შრომელებს მაღალხარისხოვანი კინოსურათები. ხოლო № 5 **ავტოტრანსპორტმა** (ამხ. ა. ვიალკოვი) აღადგინოს ავტობუსების მოძრაობა ახალშენში.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ „სოციალისტური ბანაკის ერთობა გამარჯვების უველაზე უტყუარი გარანტიაა“ — ასეთი სათაურით მოპოვება „რუდე პრავოს“ პირველ გვერდზე დაწვრილებითი შინაარსი საბჭოთა კავშირ-კორეის ერთობლივი განცხადებისა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა დელეგაციის ყოფნის შედეგების შესახებ, დელეგაციისა, რომელსაც ა. ნ. კოსიგინი მეთაურობდა. თავიანთ განცხადებაში, წერს გაზეთი, სსრ კავშირმა და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოთქვეს რწმენა, რომ სოციალიზმისა და პროგრესის, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებს შეუძლიათ ჩაფუშონ იმპერიალისტთა საშიში ზრახვები, გზა გადაუღობონ აგრესიასა და ომს. ამ კეთილშობილური მიზნებისათვის ორივე სახელმწიფო ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს სოციალისტურ ბანაკს, თავის საბრძოლო კავშირს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებთან, სოლიდარობას საერთაშორისო მუშათა კლასთან.

ჩეხოსლოვაკიის მთელი პრესა მიესალმება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის შედეგებს.

პოლონეთი გაზეთებს თვალსაჩინო ადგილზე მოპოვათ საბჭოთა კავშირ-კორეის ერთობლივი განცხადების ვრცელი შინაარსი. „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს დოკუმენტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ მთელი რევოლუციური ძალები და მშვიდობის ძალები შეუპოვრად უნდა იბრძოდნენ იმპერიალისტების წინააღმდეგ, ამავე დროს უნდა იბრძოდნენ იმისათვის, რომ შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა და დაამკვიდრონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

იაპონია უველა საღამოს გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციათა ერთობლივი განცხადების დაწვრილებითი შინაარსი. გაზეთ „სასახის“ მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს: ამ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომ საჭიროა კორეის მშვიდობიანი გაერთიანება გარედან ჩაურევლად, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპთა დამკვიდრებისათვის ხალხთა ბრძოლის განვითარება.

(საკდესი).

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). სამი დღის შედარებითი სიწყნარის შემდეგ სამხრეთ ვიეტნამში განახლდა დიდი ბრძოლები პარტიზანებსა და მთავრობის ჯარებს შორის. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სეგიონზული შეტაკებანი მოხდა სამხრეთ ვიეტნამის მეტწილ ჩრდილოეთ პროვინციებში. კუანგ ტჩის პროვინციაში 563 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოეთით პარტიზანებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს მთავრობის ჯარებს და დაუსოცეს შვიდი, დაუჭრეს 12 ჯარისკაცი. კუანგ ნგაის პროვინციაში პარტიზანებმა დახოცეს მთავრობის ჯარების 16 ჯარისკაცი, დაჭრეს 30, ტყვედ წაიყვანეს 5 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

პარტიზანებთან ბრძოლებში დაიჭრა 3 ამერიკელი, ავარიის შედეგად დაშავდა ამერიკული ვერტმფრენავის სამი მფრინავი.

ᲘᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს დღეს დემონსტრანტებს, რომლებიც ახლომახლო სოფლებიდან შეიკრიბნენ პატარა ქალაქ თხან-ბინში (და-ნანგის მახლობლად). არაოფიციალური მონაცემებით, იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი, დახოცილა დაახლოებით 40 კაცი.

დემონსტრანტები მიემართებოდნენ ადგილობრივი სამმართველოს შენობისაკენ და ჩიოდნენ, რომ მთავრობის ჯარები ცეცხლს უშენენ მათს სოფლებს. დემონსტრაციის მონაწილე ქალები მოითხოვდნენ ქმრები და შვილები დაუბრუნონ არმიიდან და შეასრულონ დაპირება, რომ გაუმჯობესებენ სურსათით მომარაგებას.

ᲠᲐ ᲨᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲡ ᲘᲚᲣᲖᲘᲔᲑᲡ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ მიღებული უკანასკნელი ცნობები კვლავ ცხადყოფს, რამდენად შორს არიან იქაური ოფიციალური კანცელარიების მაღალი პოსტის ადამიანები სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის პოზიციათა რეალური შეფასებისაგან.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ტედ შულეი წერს, ჯონსონის მთავრობა ემზადება ამ დღეებში გააკეთოს „ვრცელი განცხადება ვიეტნამის კრიზისში თავისი დიპლომატიური და სამხედრო პოზიციის შესახებ“. შულეი იმოწმებს საუბარს „ოფიციალურ პირებთან“ და ამტკიცებს, რომ ამ განცხადების ცენტრალური მომენტი უნდა გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა მოიფიქროს, თუ რა მონაწილეობას მიიღებს „რაიმე მოლაპარაკებაში“ აუცილებელი პირობით „წინასწარ შეწყვიტოს ცეცხლი ორივე მხარემ“.

ამრიგად, თუ დაეუჯერებთ „ნიუ-იორკ ტაიმსს“, გამოდის, რომ მოლაპარაკების დაწყებაზე თავისი თანხმობის ფასად ვაშინგტონს განზრახული აქვს მოითხოვოს, რომ სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ძალებმა შეწყვიტონ თავიანთი საბრძოლო მოქმედება ინტერვენტებისა და მათი მარიონეტების წინააღმდეგ.

კითხულობ ასეთ რამეს და გიკვირს. როგორც ამბობენ, ყოველივე ეს სასაცილო იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო სულელური და ფანტასტიური.

ამერიკის სტრატეგებმა დაისახეს მორიგი აუხდენელი მიზანი: შეწყვიტონ ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თავიანთი „მოწყალე დაპირების“ საშუალებით — დიწყოს მოლაპარაკება.

თუ „მოწინააღმდეგე მხარე“, გადაკვრით წერენ ახლა ვაშინგტონელი მიმომხილველები, არ დაეთანხმება ამ პირობას, მაშინ „პანოისა და პეკინს აურაცხელი უბედურება ელის“ და, კერძოდ, ამერიკის ავიაციის თავდასხმა არა მარტო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზეც.

სანამ იწყება ეს, უკაცრიელი პასუხია, დიპლომატიური გამბიტი, ვაშინგტონი კვლავ უარყოფს მთელი მსოფლიოს მოწოდებას რეალიზმისა და კეთილგონიერებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ასეთი ქცევა ამერიკის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო ფენების მზარდ შეშფოთებას იწვევს. „ასეთ ვითარებაში, — წერს, მაგალითად, ცხობილი ვაშინგტონელი მიმომხილველი ჯეიმს რესტონი, — ძნელი გასაგებია, რატომ არ განიხილავს პრეზიდენტი ამ პრობლემას უფრო აშკარად, რატომ არ არის განსაზღვრული საპატიო მოწესრიგების პირობები და ასე ადვილად რატომ უკუაგდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფო მოღვაწეების ცდებს დაიწყონ მოლაპარაკება“.

რესტონის ასეთ საფუძვლიან შეკითხვას სავსებით შეიძლება დაეთანხმოთ და დავუმატოთ მას კიდევ ერთი რამ:

ბოლოს და ბოლოს, როდის შეიგნებენ ბოდვითი მუქარისა და პროვოკაციების ვაშინგტონელი ავტორები ერთ სავსებით მარტივ ჭეშმარიტებას, რაც, როგორც ჩანს, უკვე შეიგნეს დასავლეთის სამყაროს ბევრ დიდ დედაქალაქში: პენტაგონის ვერავითარი სამხედრო მეცადინეობა და მით უმეტეს იმის მაგვარი წინადადებანი, რომლებზეც წერს ტედ შულეი, ოიტის ოდენადაც ვერ შეამსუბუქებს ამერიკის იმპერიალიზმის საშინელ მდგომარეობას სამხრეთ ვიეტნამში.

თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ინდოჩინეთში, ამ მოწესრიგებას უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უნდა დაედოს იქ არსებული სიტუაციის რეალური შეფასება, უნდა აღიკვეთოს დიქტატისა და მუქარის ყოველი ცდა, ყოველი ილუზია, რომელიც ზოგ კიმეს ვაშინგტონში შესაძლოა რეალურადაც კი ეჩვენებოდეს, მაგრამ უმალ გაქრება როგორც კი შეეჯახება საქმის ნამდვილ ვითარებას სამხრეთ ვიეტნამში.

ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲝᲑᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იუსეფ ასიბაამ დეპეშა გაუგზავნა ვიეტნამის აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარეს ტონ კუანგ ფიეტს, იუწყება მენის სააგენტო. დეპეშაში გამოთქმულია მხარდაჭერა ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ეროვნული ბრძოლისადმი ამერიკელი აგრესორებისა და მათი სამხრეთვიეტნამელი დაქირავებულების წინააღმდეგ.

ᲠᲐᲡᲔᲚᲘ: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲝᲜᲘᲡᲚᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის თავდასხმები ჩრდილოეთ ვიეტნამზე ყაჩაღური სიგიჟის უგუნური აქტებია. ამერიკა კვლავ ომის პირას აყენებს მსოფლიოს. თუ ბოლო არ მოუღეთ ამ აგრესიულ ომს ახლა, მსოფლიოს შეექმნება ტოტალური ომის საფრთხე — ასეთი განცხადება გააკეთა ინგლისის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა ბერტრან რასელმა, როცა გამოვიდა ლონდონის ეკონომიკის სკოლის ლეიბორისტული სექციის კრებაზე. მან დაგმო „სულმოკლე და საზიზღარი მხარდაჭერა“, რასაც ინგლისის მთავრობა უწევს ამერიკის უგუნურებას.

რასელმა მკვეთრად გააკრიტიკა ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა, მაგალითებით დაამტკიცა, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ არ შეასრულა წინასაარჩევნო დაპირებანი.

ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲝᲑᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იუსეფ ასიბაამ დეპეშა გაუგზავნა ვიეტნამის აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარეს ტონ კუანგ ფიეტს, იუწყება მენის სააგენტო. დეპეშაში გამოთქმულია მხარდაჭერა ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ეროვნული ბრძოლისადმი ამერიკელი აგრესორებისა და მათი სამხრეთვიეტნამელი დაქირავებულების წინააღმდეგ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ქალაქ ბრატისლავაში დაიწყო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუდმივი კომისიის საკონსულტაციო სხდომა. ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ექსპერტები განიხილავენ სამეცნიერო-საკვლევ საშუშაოთა კოორდინაციის საკითხებს ნავთობის მოპოვების დარგში.

ᲡᲠᲣᲚᲕᲧᲝᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

პოლონეთის ეკონომიური განვითარების მომავალი ხუთწლიანი გეგმა გადამწყვეტი ეტაპი უნდა გახდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ეს ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა კრაკოვის სავოევოდოს პარტორგანიზაციის საანგარიშგებო-საარჩევნო კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ამასთან მომავალმა ხუთწლედმა ხელი უნდა შეუწყოს პარტიული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, განაცხადა შემდეგ ი. ცირანკევიჩმა. პარტორგანიზაციებმა მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინონ, ვიდრე დღემდე იჩენდნენ, ადამიანთა სწორი ურთიერთდამოკიდებულების შექმნისათვის. ეს არ უნდა დაივიწყოს არც ერთმა პარტიულმა აქტივისტმა.

ი. ცირანკევიჩმა ილაპარაკა სეიმისა და სახალხო საბჭოების მომავალ არჩევნებზე და განაცხადა: ეს იქნება სრულიად პოლონეთის კამპანია, რომლის მიზანია მოიწონოს სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის პროგრამა, სახალხო მეურნეობის განვითარების, ქალაქების, სოფლების, დაბების განვითარების პროგრამა. ეს იქნება კამპანია, რომელმაც უნდა გააღრმავოს პარტიის ურთიერთობა ხალხთან.

ი. ცირანკევიჩი შეეხო აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთ საკითხს. ჩვენი პოზიცია, თქვა მან, გამოვხატეთ პარტიის IV ყრილობაზე. განაზრახული გვაქვს კვლავაც პირველ პლანზე წამოვწიოთ ყოველივე ის, რაც გვაერთიანებს, გვინდა განვამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთობა.

ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲮᲐᲠᲗᲣᲛᲘ, 16 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ნ. პოზდნიაკოვი იუწყება:

გუშინ სუდანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჰალემ ელ-ხალიფამ მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, რომელიც სუდანში იმყოფება. მეგობრული საუბრის დროს პრემიერ-მინისტრმა დელეგაციის წევრებს გააცნო სუდანისა და კონგოს მდგომარეობა, შეეხო მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემებს.

სუდანის რევოლუცია გასული წლის ოქტომბერში, განაცხადა მან, განხორციელდა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის და სუდანელი ხალხის მისწრაფებათა მკაფიო გამოხატულება იყო. ჩვენმა მთავრობამ მტკიცე პოზიცია დაიკავა მებრძოლი კონგოელი პატრიოტებისადმი დახმარების საკითხში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონგოს პრობლემის მხოლოდ აფრიკული გადაწყვეტაა სწორი და ვიმედოვნებთ, რომ აფრიკის ქვეყნები თანამშრომლობენ, რათა გამონახონ ასეთი გადაწყვეტის გზები.

რაც შეეხება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლას, განაგრძო ჰალემ ელ-ხალიფამ, ვფიქრობ, რომ სუდანელმა ხალხმა, რომელმაც განახორციელა თავისი რევოლუცია, კვლავ გამოხატა ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი. ვიმედოვნებთ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლნი გაერთიანდებიან, რათა გადამწყვეტი წარმატება მოიპოვონ ამ დიად საქმეში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია შეხვდა აგრეთვე სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰჯუბს, ინფორმაციისა და შრომის მინისტრს ბაბაქრსა და სუდანის სხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს.

ᲠᲐᲙᲔᲢᲛᲒᲘᲓᲘ ᲒᲚᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის საესკადრო ნაღმოსანი „კლოდ რიკეტსი“, რომლის ეკიპაჟში არიან დასავლეთის ქვეყნის წარმომადგენლები, „ოპერატიულ ნაოსნობას“ იწყებს ნორფოლკიდან (ვირჯინიის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმავალი საესკადრო ნაღმოსანი კორიბის ზღვაში მოახდენს რაკეტების რამდენიმე გაშვებას.

ამერიკის მთავრობის ჩანაფიქრით, ამ საესკადრო ნაღმოსნის „ლაშქრობამ“ გზა უნდა გაუკვალოს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნას, რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ ნატოს მეელი რიგი ქვეყნები. თურქეთმა ამას წინათ განაცხადა, რომ აღარ აინტერესებს ეს პროექტი, და „კლოდ რიკეტსის“ ეკიპაჟიდან გაიხმო თავის მეზღვაურთა კონტინგენტი ამ ხომალდის ზღვაში გასვლის წინ.

სავსებით ცხადია, რომ საესკადრო ნაღმოსნის „კლოდ რიკეტსის“ სანაოსნოდ გაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდაა ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების იდეა გაიყვანოს ქალდატანებით და ამისათვის გამოიყენოს შერეული ეკიპაჟიანი ერთი გემის „საჩვენებელი“ მაგალითი.

20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ გაიხსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების შემდეგ გასული 20 წლის შედეგებს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ახალი სამხედრო გეგმების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა გერმანიის ცენტრალური სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა.



მარცხენა: ᲛᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲒᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ. კარიკატურა ჩეხოსლოვაკიელ მხატვარ ი. პოკორნისა.

ᲜᲘᲗᲔᲚᲐᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐ

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ სწრაფად ვრცელდება წითელას ეპიდემია. ამ ავადმყოფობის შედეგად უკვე დაიხოცა 120-ზე მეტი ბავშვი ქალაქ ბოსტა-ნაბადისა და თებრიზის მახლობლად მდებარე სოფლებში. ექიმები ვერ მიდიან ეპიდემიის რაიონებში თოვლისა და ზვავის გამო, რამაც ჩაკეტა გზები. ზვავი მთებში გამოიწვია მიწისძვრამ, რომელიც ირანის ჩრდილოეთ რაიონებში მოხდა რამდენიმე დღის წინათ. არის მსხვერპლი მოსახლეობას შორის.

ᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). სამი დღის შედარებითი სიწყნარის შემდეგ სამხრეთ ვიეტნამში განახლდა დიდი ბრძოლები პარტიზანებსა და მთავრობის ჯარებს შორის. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სეგიონზული შეტაკებანი მოხდა სამხრეთ ვიეტნამის მეტწილ ჩრდილოეთ პროვინციებში. კუანგ ტჩის პროვინციაში 563 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოეთით პარტიზანებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს მთავრობის ჯარებს და დაუსოცეს შვიდი, დაუჭრეს 12 ჯარისკაცი. კუანგ ნგაის პროვინციაში პარტიზანებმა დახოცეს მთავრობის ჯარების 16 ჯარისკაცი, დაჭრეს 30, ტყვედ წაიყვანეს 5 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

პარტიზანებთან ბრძოლებში დაიჭრა 3 ამერიკელი, ავარიის შედეგად დაშავდა ამერიკული ვერტმფრენავის სამი მფრინავი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲓᲔᲚᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა და ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა, რომელიც სახელმწიფო ვიზიტად იმყოფება აქ, დელიში გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ომის საფრთხის აღკვეთის გზაა განიარაღება.

ორივე პრეზიდენტმა დაადასტურა თავიანთი ღრმა რწმენა, რომ უველა სადავო საკითხი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით — მოლაპარაკების გზით. სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მათი თანამშრომლობა კომუნიკეში მიჩნეულია იმის აუცილებელ პირობად, რომ შეიქმნას საერთაშორისო ურთიერთგაგების, მშვიდობისა და უშიშროების ატმოსფერო.

კომუნიკეს დიდი ნაწილი ეძღვნება ინდოეთისა და ფინეთის ურთიერთობის გაფართოების გზებისა და საშუალებების საკითხს.

ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, მიიღო უ. კეკონენის წინადადება, რომ სახელმწიფო ვიზიტად ეწვიოს ფინეთს ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს.

„ᲞᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ“ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

„პიკის ქალი“ ნიუ-იორკმა პირველად მოისმინა 54 წლის წინათ „მეტროპოლიტენ ოპერაში“... გერმანულ ენაზე. 15 თებერვალს „ლინკოლნ სენტრის“ ხალხით გაჭედილ დარბაზში Ა. Ი. ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲔᲠᲯᲔᲠᲓᲐ „ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ᲐᲡᲝᲨᲘᲔᲘᲢᲘᲜᲘᲡ“ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲚᲘᲖᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲐᲨᲘᲙᲘᲜᲐᲛ.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ლეოპოლდვილში დამთავრდა სასამართლო ეგრეთწოდებული „ხოხლოვის საქმის“ გამო. სასამართლომ მხოლოდ გაინიცა საკითხი, გამართლებულია თუ არა კანონით საბჭოთა ჟურნალისტის წინასწარი პატიმრობა.

აშკარა ფაქტების მიუხედავად სასამართლომ ცნო, რომ იურიდიულად გამართლებულია „იზვესტიის“ კორესპონდენტის დაპატიმრება, მაგრამ, ამასთანავე აღნიშნა, რომ მასალები, რომლებიც „ხოხლოვის საქმის“ გამო შეაგროვა ნენდაკას პოლიციამ, არ კმარა სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად. კონგოს პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მალე „ხოხლოვის საქმეს“ დაემატება ახალი საბრალმდებლო მასალები.

„ხოხლოვის საქმე“, რომელიც უხეშად შეთითხნა ლეოპოლდვილის პოლიციამ, კვლავ გადაეცემა პროკურატურას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — ან განმეორებით გადასცეს საქმე სასამართლოს გასარჩევად, ან გაათავისუფლოს ბრალდებული ლ. ი. ასეთი დადგენილების გამოტანისათვის პროკურატურას ეძლევა, როგორც წესი, ორი კვირა.

„ᲞᲝᲚᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა ჰილმამ გამოაცხადა: თემთა პალატაში, რომ ლეიბორისტთა მთავრობა გაგრძელებს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების მშენებლობის პროგრამას, რომელიც კონსერვატორთა მთავრობამ დასახა. მაგრამ, აღნიშნა ჰილმამ, ეკონომიის მიზნით ხუთი ნავის ნაცვლად აშენდება ოთხი ნავი, ხოლო დაზოგილი სახსრები მოხმარდება ნავსაწინააღმდეგო წყალქვეშა ნავების მშენებლობას.

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილი შტოფმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ერჰარდ მოუწოდა არ დაუშვას განხორციელება ბონის მთავრობის განზრახვისა, რომ დანაშაულთა „სანდაზმულობის გამო“ მიმდინარე წლის 8 მაისს შეწყვიტოს სამხედრო და ნაცისტ. დამნაშავეთა დევნა.

ერჰარდისადმი გაგზავნილ დეპეშაში ვ. შტოფი დასავლეთ გერმანიის კანცლერის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ეს განზრახვა ეწინააღმდეგება ჰუმანურობისა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ პრინციპებს და ნაცისტთა ბარბაროსობის მილიონობით მსხვერპლის შეურაცხყოფაა.

3. შტოფი წერს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ითანამშრომლოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ნაცისტ და სამხედრო დამნაშავეთა დევნის მიზნით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ადასტურებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას — შეიქმნას ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან ერთობლივი კომისია, რათა უზრუნველყოს საბმისო დოკუმენტებისა და მასალების სრული და ყოვლისმომცველი გამოყენება.

ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲮᲐᲠᲗᲣᲛᲘ, 16 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ნ. პოზდნიაკოვი იუწყება:

გუშინ სუდანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჰალემ ელ-ხალიფამ მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, რომელიც სუდანში იმყოფება. მეგობრული საუბრის დროს პრემიერ-მინისტრმა დელეგაციის წევრებს გააცნო სუდანისა და კონგოს მდგომარეობა, შეეხო მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემებს.

სუდანის რევოლუცია გასული წლის ოქტომბერში, განაცხადა მან, განხორციელდა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის და სუდანელი ხალხის მისწრაფებათა მკაფიო გამოხატულება იყო. ჩვენმა მთავრობამ მტკიცე პოზიცია დაიკავა მებრძოლი კონგოელი პატრიოტებისადმი დახმარების საკითხში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონგოს პრობლემის მხოლოდ აფრიკული გადაწყვეტაა სწორი და ვიმედოვნებთ, რომ აფრიკის ქვეყნები თანამშრომლობენ, რათა გამონახონ ასეთი გად

ძიების გზით

ფიქრები და მენიშვნები თანამედროვე ქართულ მუსიკაზე

ქართული მუსიკის თვითმყოფობის საწინდარია ჩვენი ენისა და მუსიკის ორგანული კავშირი. სიტყვა მუსიკის ყველაზე უფრო მძლავრი და ერთგული მეგობარია. ჩვენი ხელოვნების ჟანრების უმრავლესობა სიტყვისა და მუსიკის სინთეზის შედეგად წარმოიქმნება (სიმღერა, კანტატა-ორატორია, ოპერა). ჩვენი ხალხური მუსიკის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისებურებაა სიტყვის დიდი როლი, რაც დეკლამაციურ-რეჩიტატივული მელოდიზმის მრავალფეროვან ფორმებში ვლინდება.

ქართული პოეზია, ლიტერატურა, თანამედროვე სასაუბრო ენა მართლაც რომ შემოქმედებითი ძღიერების უშრეტი წყაროა ქართველი კომპოზიტორებისათვის. სიტყვას ხომ მუსიკაში თავისი შინაარსი, ფონეტიკური ნიმანთვისება, რიტმი და ფერები მოაქვს. რუსთაველისა და ვაჟას, ბარათაშვილისა და ილიას, გალაკტიონისა და თანამედროვე პოეტების სიტყვა ხომ სხვადასხვა მელოდიურ ფორმებში შეიძლება დაედოს საფუძვლად. ეს მელოდიზმი თუნდაც რომ ფოლკლორული წყაროებიდან არ მომდინარეობდეს, განა ქართულ სიტყვას, კარგად ნაგრძნობსა და გაგონილს, არ ძალუძს ეროვნული ხასიათი შექმნას?

შ. მშველიძის შემოქმედების ბევრ ღირსშესანიშნავ თვისებას შორის იქნებ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ის იყოს, რომ იგი გრძნობს ქართული სიტყვის ბუნებას, ისე, როგორც, შესაძლოა, არავინ მის თანამედროვე მუსიკოსთა შორის. ძარღვიანი ქართული სიტყვის ეროვნული კოლორიტი, ფსიქოლოგიური სიღრმე და ძალა მშველიძის ნაწარმოებებში ორგანულად უერთდება მუსიკას, არ ითქვიფება მასში და ხანდახან პირველობას არცა თმობს. აქედან მომდინარეობს კომპოზიტორის მელოდიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებურება — მისი უპირატესად დეკლამაციური ხასიათი, რაც ნიშანდობლივია მშველიძის არა მარტო ვოკალური, არამედ ინსტრუმენტული ნაწარმოებებისთვისაც. მშველიძის იმპროვიზაციულად თავისუფალ თემებში არასდროს არ ირღვევა ქართული ენის ნორმები. მისი ინტონაცია ისეთი მეტყველია, რომ თითქოს პოეზიისა და მუსიკის მიჯნაზე წარმოიქმნება.

პოეტურ-ლიტერატურული მხარის ხაზგასმა მუსიკალურ სასეებში — ეს თავისებურება მშველიძემ ქართული სიმღერისაგან აითვისა. ჩვენებური გუნდებისათვის ხომ დამახასიათებელია ქორალურ-სასიმღერო და რეჩიტატივული ფორმების ორგანული შერწყმა, რითაც მიღწეულია მუსიკის დეზადი ხასიათი და პოეტური აზრის განვითარების სიცხოველე. კომპოზიტორის ორივე ოპერა „აბზავი ტარიელისა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ შეიცავს ქართული სიტყვის მელოდიაში განსახიერების ბრწყინვალე ნიმუშებს, რომლებშიც რუსთაველისა და კონსტანტინე გამსახურდიას ხატოვანი სიტყვა მშველიძისეული მელოდიური აზროვნების მეოხებით ახალ ელერადობას იძენს.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მუსიკალური გარდასახვა განაპირობებს ო. თაქთაქიშვილის ხუთი ვოკალური პოემის მხატვრულ ღირსებებს. კომპოზიტორმა მოუნახა გასაღები გალაკტიონის ლექსს. მოისმინეთ ვექსპრესიული „შეშლილი სახით ჩიგიოდა ქუჩა“, ანდა იდუმალებით აღსავსე „დედამ ღვთისაგ, მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“, და შეიგრძნობთ, რომ გალაკტიონის ენის ნერვული ძალა და სიფაქიზე მთლიანად შენარჩუნებულია მუსიკაში, მელოდიის სუნთქვაში, მის მთრთოლვარე პულსსა და მშფოთვარებაში.

არა ერთი და ორი ვოკალური ნაწარმოები შეგვიძლია დავასახელოთ, რომლებშიც ქართული სიტყვა მრავალფეროვან განსახიერებას პოულობს. სასიმღერო ჟანრის კომპოზიტორები ავითარებენ ქართული ქალაქური ფოლკლორის საუკეთესო ტრადიციებს, იყენებენ თანამედროვე მუსიკის საესტრადო მიღწევებს. ლირიკის სითბოთი და თავდაჭერილობით, უშუალობითა და მგზნებარებით, პოეტურობით გამოირჩევა რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის, დ. თორაძის, ს. მირიანაშვილის, ა. კერესელიძის, შ. მელოთრავას და სხვა კომპოზიტორების სიმღერები და აქაც ხშირად ეროვნული ხასიათი სწორედ ინტონაციის თავისებურებებში, ქართული სიტყვის ბუნებრივ ჟღერადობაში მჟღავნდება.

დიახ, ქართული პოეზია ჩვენი მუსიკის საიმედო მოკავშირეა. ოღონდ ეს კავშირი უფრო მრავალფეროვანი და მჭიდრო უნდა გახდეს. კარგია, რომ ქართველი პოეტების ნაწარმოებთა მიხედვით სიმღერები, კანტატა-ორატორიები, ოპერეტები და ოპერები იქმნება. მაგრამ არც ის იქნებოდა ურიგო, რომ პოეტებისა და მუსიკოსების თანამშრომლობას ახალი შერეული ფორმების წარმოქმნაც მოჰყვებოდეს.

აქ შეიძლება იმეთი თანამშრომლობაც ვისურვოთ, რომელიც არ იფარგლება კომპოზიტორის მიერ მზამზარეული ნაწარმოების გამოყენებით, არამედ გულისხმობს ახალი ფორმების ძიებას ლიტერატურისა და მუსიკოსის ურთიერთკონტაქტის პირობებში. ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ შედეგები, მაგრამ უდავოა, რომ ამ გზაზე ბევრი სიახლე გველის, რაც ბიძგს მისცემს ჟღშმარიტად ეროვნული მუსიკალური ფორმების შექმნას.

საერთოდ მუსიკალური ენის პროგრესი უფრო სწრაფად და ინტენსიურად ხდება, ვიდრე ფორმების. ამ მხრივ არც ჩვენი ქართული ხელოვნებაა გამონაკლისი. მისი ენის ორიგინალობა უნდა აავსნათ სწორედ იმ ჟანრობრივ-ინტონაციური საწყისებით, რომლებიც ხალხური მუსიკის წიაღში იკარგება. რაც შეეხება ფორმებს, აქ, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორთა ინდივიდუალობას, თემებს და სახეებს თავისი კორექტივები შეაქვთ, დიდ სიახლეს მაინც ვერ დავიქადნით. ჩვენ არსებითად ავითვისეთ ის ფორმები, რომლებიც გამომუშავდა და დაიხვეწა კლასიკურ და რომანტიკულ მიმართულებებში. მართალია, მაგალითად, სონატური ფორმის ფაფოცლისუნარიანობა სწორედ იმით არის განპირობებული, რომ იგი დაუშრეტელ შესაძლებლობას შეიცავს ახალი მოვლენების მხატვრული განზოგადებისათვის, მაგრამ ამ ფორმის შემდგომი განვითარების პარალელურად შესაძლოა ჩაისახოს და განვითარდეს სრულიად ახალიც; ბუნებრივია, სიტყვასთან კავშირში, რადგან ფორმების ცვალებადობას განსაზღვრავს შინაარსის ევოლუცია, ხოლო სიმფონიური ჟანრების ლიტერატურასთან და თეატრთან დაკავშირება მათი პროგრესის მეზობელია.

ალბერ ხელოვნების თავისებური კერა თვითშემოქმედებითი წრეები უნდა გახდნენ. მათი ეფექტური მუშაობა ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. ქართული ხალხური სიმღერა შემსრულებლის ოსტატობას და გემოვნებას მოითხოვს და წრეების უპირველესი მიზანია შეურყვნელად შემოინახონ საუკუნეების მიერ გადმოცემული საუნჯენი. ამ კეთილშობილ საქმიანობას ფართო დახმარება უნდა გაეწიოს გამოცდილი ლოტბარებით, ლიტერატურით, კონკურსებით, პრესის მეშვეობით, პროპაგანდით. ყოფაში მუზიკირების ახალი ფორმებიც უნდა დაინერგოს.

საყოფაცხოვრებო მუსიკა ინარჩუნებს ჩვენი პროფესიული კულტურის საყრდენის მნიშვნელობას. იგი მუდამ მიაწვდის კომპოზიტორებს ნედლ მასალას ახალი მხატვრული განზოგადებებისათვის. ამ კანონზომიერებას ემორჩილება მსოფლიო ხელოვნების

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ერთ საინტერესო საღამოზე

ქუთაისი, (საკ. კორ.). კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ლიოოფონის ქარხნის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ დღეებში ქიმიკოსთა კულტურის სახლში მოეწყო საინტერესო თემატური საღამო — „გავიხსენოთ ახალგაზრდობის წლები“.

შრომის ვეტერანებმა შეკრებილთ მოუთხრეს თავიანთი ახალგაზრდობის წლებზე, შრომასა და სწავლაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა უფროხილდებოდეს ახალგაზრდა კაცი მუშის სახელს, მის ღირსებას.

დასასრულ გაიმართა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი.

საპრწყლი ქრონიკა

□ ბაკურიანელმა მოთხილამურემ ი. ოგანეზოვმა ალმა-ატაში გამართულ „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადაზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. მან პირველი ადგილი დაიკავა გიგანტურ სლალომში.

□ სპვერდლოვსკის კორტეზზე გრძელდება ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო პირადი პირველობა. წარუმატებლად ითამაშა მერვედფინალში ა. მეტრეველმა. მან მოულოდნელი დამარცხება განიცადა როსტოველ ვ. ვასილიევთან (1:6, 6:8, 6:1, 6:4, 3:6). ასპარეზობას გამოეთიშნენ აგრეთვე ნ. მძინარიშვილი (წაგო თ. ლეიუსთან) და ი. ერმოლოვა. წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. ივანოვამ. მან დამარცხა გ. ბაკშეევა. (5:7, 7:5, 6:4). ნახევარფინალის მონაწილეები არიან ა. ივანოვა, ტ. კივი, ლ. ტიხონოვა და ა. დმიტრიევა, ვაჟთა შორის — ა. პოტაპინი, ი. პარმასი, ი. იუშკა და თ. ლეიუსი.

გათუმი. კინოთეატრი „თბილისი“.

ფოტო კ. ყუფუნიასი.

ედ. ლასკერის რეკლიკა ფიშერს

გამოჩენილ ამერიკელ გროსმაისტერ რ. ფიშერს მარტში 22 წელი უსრულდება. ადრე, როცა ბობეკა მოჰადრაკე წარმატებით თამაშობდა, მისი სახელი არ სცილდებოდა საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს, მაგრამ აი უკვე 13 თვეა ფიშერს არსად უთამაშია და, ამის მიუხედავად, მისი სახელი მაინც ყურადღების ცენტრშია. ამის მიზეზი ფიშერის უცნაური დუმილია.

მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ მან ერთხელ კიდევ მიიქცია საჭადრაკო სამყაროს ყურადღება, მაგრამ...

ახალ ამერიკულ საჭადრაკო ჟურნალ „ჩესუორლდის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია წერილი ასეთი სენსაციური სათაურით: „ათი უდიდესი ოსტატი ჭადრაკის ისტორიაში, დასახელებული ბობი ფიშერის მიერ“. აი ეს ათეულიც: პ. მორფი, ჰ. სტაუნტონი, ვ. სტეინიცი, ზ. ტარაში, მ. ჩიგორინი, ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, ბ. სპასკი, მ. ტალი, ს. რეშევსკი.

ამ სიას რედაქცია ასეთი განმარტებას ურთავს:

„ასახელებს რა უდიდესი ოსტატების ათეულს ჭადრაკის ისტორიაში, ბობი (რომელიც, რედაქტორის აზრით, თვით შედის ამ სიაში) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მათი თამაშის ხარისხს და არა წარმატებებსა და შედეგებს. ამით უნდა აიხსნას სიაში ისეთი მოჭადრაკეების გამოტოვება, როგორიც არიან ლასკერი, ბოტვინიკი და სხვები“.

თვით ფიშერი თავის არჩევანს შემდეგნაირად ხსნის:

„თუ ვინმე მრავალი წლის მანძილზე ჩემპიონი იყო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი დიდი მოჭადრაკეა, ისევე, როგორც რომელიმე ქვეყნის მბრძანებელს დიდს იმის გამო კი არ უწოდებენ, რომ იგი დიდხანს იყო სახელმწიფოს სათავეში“.

ფიშერის წერილმა გამოიწვია ამერიკული ჭადრაკის ვეტერანის, საერთაშორისო ოსტატ ედუარდ ლასკერის (მსოფლიოს ჩემპიონის მოგვარის) მკვეთრი რეპლიკა. ედ. ლასკერს წელს 80 წელი უსრულდება.

„ჩესუორლდის“ მეორე ნომერში ედ. ლასკერი, რომელიც ბევრჯერ შეხვედრია საჭადრაკო დაფასთან თავის დიდ მოგვარეს, წერს:

„ფიშერი ძალზე უნდა დახელოვნდეს, რომ შეძლოს ლასკერისებური ნაწარმოებების შექმნა. ვწინასწარმეტყველებ, რომ თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, რომელიც მას უდიდეს უპირატესობას ანიჭებს, ფიშერი არასოდეს არ იქნება მსოფლიოს ჩემპიონი“.

გ. გამრეკელი.

გასტროლებზე ოთხ ევროპულ ენაზე

კამგოჯის მთავროგის საპატიო ორდენი ლ. მითაიშვილს

ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ქართველ ოსტატთა გასტროლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. საზღვარგარეთელი მაყურებლები ინტერესით ეცნობიან ყოველი ჩვენი მასხიობის გამოსვლას, ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კეთილი მეგობარი და დამფასებელი შესძინონ ქართულ კულტურას, კერძოდ, ქართულ ხელოვნებას.

რამდენიმე ხნის წინათ მორიგი საგასტროლო მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლილიანა მითაიშვილი და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს:

— საზღვარგარეთ წარსულ წლებშიც რამდენჯერმე ვიყავი. კერძოდ, 1958 და 1963 წლებში. სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი — აი ის ქვეყნები, სადაც სხვა მსახიობებთან ერთად გამოვსულვარ.

არც ამჯერად ვყოფილვარ მარტო. მე ერთ-ერთი წევრი ვიყავი საბჭოთა ბალეტის მსახიობთა ჯგუფისა, რომელშიც შედიოდნენ მოსკოველი, ვილნიუსელი, რიგელი, ერევნელი მსახიობები. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე მუსიკალური ტრიო მოსკოველთა.

აღნიშნულ ჯგუფთან ერთად გასტროლები გვქონდა ოთხ ქვეყანაში — ბირმაში, კამბოჯაში, ტაილანდსა და ცეილონში. კონცერტებს უმთავრესად დედაქალაქებში ვმართავდით და საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში გამოვდიოდით. ცეილონში დედაქალაქს გარდა სამ სხვა ქალაქშიც გამოვედით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო საბჭოთა ბალეტის მსახიობთა პირველი ტურნირობა ამ ქვეყნებში.

პროგრამაში გვქონდა კლასიკური ქორეოგრაფიის ნიმუშები. პირადად მე ვასრულებდი ვარიაციებს ლ. მინკუსის მარტო, „დონ-კიხოტიდან“ და ა. კრეინის „ლაურენსიადან“.

შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა მსახიობთა კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა. საერთოდ ყველგან გულითადად და მეგობრულად გვიღებდნენ, დასკვნითი კონცერტის შემდეგ კამბოჯის პრინცმა ნოროდომ სიანუკმა მთავრობის ორდენები გადმოგვცა. კერძოდ, მსახიობი ქალები დაგვაჯილდოვეს კამბოჯის მთავრობის ქალთა საპატიო ორდენით „დიდი საშემსრულებლო ოსტატობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის“.

საბჭოთა ბალეტის მსახიობთა გამოსვლებს აქტიურად გამოეხმაურა პრესა.

* * *

სურათზე: ცეკვავს ლილიანა მითაიშვილი.

ჩემპიონები თელავში

თელავი. (საკ. კორ.). გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თელავის რაიონის მშრომელებმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს. შეხვედრა, რომელიც თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა, გახსნა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. ვარდოშვილმა.

დინამოელებს გულითადად მიესალმნენ და შემდგომი წარმატებანი უსურვეს მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

„დინამოს“ კაპიტანმა შ. იამანიძემ და მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემ რაიონის საზოგადოებრიობას მადლობა გადაუხადეს და აღუთქვეს, რომ მომავალ ჩემპიონატში კვლავ ეცდებიან გაამართლონ გულშემატკივართა იმედი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თელავის დიდი სტადიონის მშენებლობა, ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, წინანდლის ღვინის ქარხანა.



მზე ჩემოდანში

შინიდან გამოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პატარა გოგონა მოჰყავდა. ორივეს ამ დროისათვის უჩვეულოდ ნამზეური სახე ჰქონდა. თითქოს მათ ბევრი საათი გაეტარებინოთ პლაჟზე მცხუნვარე მზეში.

— საიდან გაქვთ ასეთი მშვენიერი ნამზეური? ყირიმში იყავით თუ კავკასიაში? — ჰკითხა მას მეზობელმა.

ქალმა გაიღიმა: — მე მზე დამაჭვს ჩემოდნით...

ნუ.გიგვირთ. ასეთი ჩემოდნის ნიმუშები უკვე შექმნა კიევის სამედიცინო ექსპერიმენტალურ ქარხანამ. პორტატული საყოფაცხოვრებო კვარცის ნათურა „მთის მზე“, რომელიც შეიმუშავეს და დააშზადეს საწარმოს სპეციალისტებმა, გათვალისწინებულია ინფრაწითელი და ულტრაიისფერი შემოსხივებისა და ნამზეურობისათვის. მისი გამოყენება შეიძლება ბინასა და სამკურნალო დაწესებულებებში. სიდიდით ეს აპარატი არ აღემატება რადიომიმღებ „ტურისტს“. მისი წონა ჩემოდნიანად სამ კილოგრამს აღწევს.

როგორც გაზეთი „ვეჩერნი კიევი“ იუწყება, „მთის მზის“ აპარატების სერიულ გამოშვებას ქარხნის კოლექტივი დაიწყებს ამ წლის მეორე კვარტალში.

გულმა მოიშორა „ჯავშანი“

რეპორტაჟი საოპერაციოდან

ყოველივე, რაც დავმართა, 23 წლის ვლადიმერ პონომარენკომ ოპერაციის შემდეგ შეიტყო. ძნელი წარმოსადგენი იყო: უკვე რამდენი თვეა მკერდში ატარებდა „ჯავშნიან“ გულს და სიკვდილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდა. ასე აღმოჩნდა ვლადიმერი კიევის ოქტომბრის საავადმყოფოს საოპერაციო მაგიდაზე.

პროფესორ დიმიტრი თევდორეს-ძე სკრიპნიჩენკოსათვის ვალოდიას ავადმყოფობის ისტორია ნაცნობი იყო: გულის გარსის ტუბერკულოზი. ჯერ გულის გარსზე წარმოიშვა ნაწიბურები. შემდეგ ეს ნაწიბურები ერთმანეთს შეეზარდა თითის სისქე მკვრივ აფსკად. სწორედ იგი აწვებოდა გულს, „დახრჩობას“ უქადდა ყოველ წუთს.

სუნთქვაშეკრული თვალს ვადევნებ პროფესორს. მუშაობს მართული სუნთქვის აპარატი. გრძელი მგრძნობიარე თითები ჩვეული მოძრაობით ეხება იარაღებს. იხსნება აფსკი, რომლის ქვეშ ძლივს იგრძნობა სიცოცხლის შებოჭილი ორგანოს ცემა. ჩაჭრა, კიდევ ჩაჭრა, და გული თანდათან თავისუფლდება ჯავშნისაგან, უკვე მსუბუქად და რიტმულად ცემს...

ოპერაციის შემდეგ, კიევის მთავარმა ქირურგმა მ. ი. პაშჩენკომ, რომელიც ასისტენტობას უწევდა პროფესორს, თქვა, რომ დ. ო. სკრიპნიჩენკოს მეთოდი პირველად გამოიყენეს ქირურგიაში. იგი მარტივია, ადვილად იტანს ავადმყოფი. მთავარია ის, რომ ადამიანს არათუ უბრუნდება სიცოცხლე, არამედ კვლავ ფიზიკურად ჯანსაღია: მისი გულმკერდი სავსებით უვნებელია.

ვლადიმერი პალატაში ვნახე. ჭაბუკი კარგად გრძნობს თავს, ხოლო იმისათვის, რომ მისმა განახლებულმა გულმა ხელახლა დაიწყოს ცხოვრება — შეეჩვიოს ნორმალურ რიტმს, მკურნალმა ექიმმა ე. ფ. დოვგანმა დაუნიშნა ავადმყოფს სპეციალური ვარჯიშის კურსი. ცოტა ხანიც, და შეიძლება წერილი მისწეროს დედას ჩერნიგოვის რაიონში. მართალია, მოკლე წერილი, მაგრამ ვაჟიშვილები ხომ ასეთ წერილებს წერენ.

„მალე ჩამოვალ“, — შეატყობინებს დედას ვლადიმერი.

ი. დორონინა,
(საკ. კორ.).

ССРკ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ხელსაწყოთა მშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტი

ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1965 წ. შემდეგ სპეციალობებზე:

1. **გამოთვლითი ტექნიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ).
2. **გამოთვლითი მათემატიკა** (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ).
3. **ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა** (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ).
4. **საკონტროლო გამზომი ტექნიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით).

ასპირანტურაში მიიღებიან პირები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არჩეული სპეციალობის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არანაკლებ ორი წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელი პირები ამბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით შემდეგ დისციპლინებში: სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის ასლი და ამოხაწერი ჩათვლის წიგნაკიდან; 2. დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან; 3. ავტობიოგრაფია; 4. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით 6×4-ზე; 5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია; პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებას „ავტორეფერატს“; 6. პრაქტიკული მუშაობის სტაჟის დასამოწმებელი დოკუმენტი (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან); 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს, რომ დასაშვებია ასპირანტურაში სწავლება.

განცხადებები მიიღება 20 აპრილამდე, **მისაღები გამოცდები** — 20 მაისიდან.

პირებს, რომლებიც დაიშვებიან გამოცდაზე წარმოებისაგან მოწყვეტით ან მოუწყვეტლივ, ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, ხელფასის შენარჩუნებით სამუშაო ადგილიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 5-62-65, 5-57-01, დამატ. 5-32.

მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 37.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

პირველი პროგრამით

რადიო — 17 თებერვალი

10.15 — ა. ქუთათელის ლექსები, 10.35 — ო. თევდორაძე. ქართული სიუიტა, 11.15 — სცენები რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკოდან“, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.25 — უკრაინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 13.10 — სიმღერები საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 13.40 — ბულგარული ხალხური სიმღერები, 14.00 — ზ. ლევინა. „ოდა ჯარისკაცს“ (მოსკოვი), 15.15 — მიკროფონთან — ახალგაზრდა მომღერალი ი. მარჩენკო (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“ (მოსკოვი), 17.15 — რახმანინოვის რომანსები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი — „შვიდფერი, როგორც ცისარტყელა“, 18.10 — ქართული ქალაქური სიმღერები, 18.45 — ნ. გუდიაშვილი „ჩემი სამშობლოს ველზე“, 19.30 — საუბარი — „საქართველოს ატლასი“, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — „თბილისი, ბაჭო, ერევანი“, 21.00 — გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის. კონცერტი-საუბარი: „გ. სვირიდოვი“, 22.00 ვ. ჩუდაკოვი: „ღამე შეტევის წინ“, 22.50 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.30 — მღერის ზურაბ ანჯაფარიძე.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **თეატრები** — 17 თებერვალი

— ტოსკა (მე-12 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი**— სამგრძნობიანი ოპერა (მე-17 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — თამაში ჭვავის ყანაში (მე-15 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი ფიცა (მე-14 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **სანკულტურის** — სახელგატეხილნი (მე-9 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — ნ. ოსიპოვის სახელობის რუსული სახელმწიფო ხალხური სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. სოლისტი — მ. რეიზენი.

ტელევიზია — 17 თებერვალი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მამლუქი“, 19.40 — გადაცემა — დრო და თანძილი“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები“, 20.30 — განცხადებები, 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — გადაცემა — „მღერის ედიშერ მირიანაშვილი“ 21.20 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „შერლოკ ჰოლმსი“, 22.45 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტა